

სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ს ა უ ი ნ ა ნ ს ო ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა ს ტ უ ლ ე ნ ტ ი ა ნ
(ბადგოყვანა/აღდგენა)

№

პროფესიული უმაღლესი განათლება/ბაკალავრიატი/მაგისტრატურა/დოქტორანტურა

ქ. თბილისი

-----/-----/201.. წ.

ერთი მხრივ, საჯარო სამართლის იურიდიული პირი საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, შემდგომში „უნივერსიტეტი“, მისი რექტორის - არჩილ ფრანგიშვილის სახით, რომელიც მოქმედებს „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, მეორე მხრივ, სტუდენტი (სტუდენტის არასრულწლოვნების შემთხვევაში მშობელი ან მისი კანონიერი წარმომადგენელი)

(გვარი, სახელი, მამის სახელი)

ხელმძღვანელობენ რა „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის №10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“, განათლების სფეროში მოქმედი სხვა ნორმატიული აქტებით, დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას და თანხმდებიან შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი:

- 1.1. ხელშეკრულების საგანია საგანმანათლებლო პროგრამის ფაკულტეტის, სპეციალობის, სწავლების წელზე ჩარიცხული სტუდენტისათვის სასწავლო მომსახურების გაწევა, ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებული სწავლის საფასურის გადახდის შემთხვევაში;
- 1.2. სტუ-ში გადაყვანის ან/და აღდგენის წესით ჩარიცხული სტუდენტის სწავლის საფასური სწავლების შესაბამისი წლისათვის (სემესტრისათვის) განისაზღვრება მხოლოდ სასწავლო ხელშეკრულებით განსაზღვრული ასათვისებელი კრედიტების რაოდენობის მიხედვით:
- სწავლების პირველი წელი ლარი, სახელმწიფო დაფინანსების შემთხვევაში ლარი;
 - სწავლების მეორე წელი ლარი, სახელმწიფო დაფინანსების შემთხვევაში ლარი;
 - სწავლების მესამე წელი ლარი, სახელმწიფო დაფინანსების შემთხვევაში ლარი;
 - სწავლების მეოთხე წელი ლარი, სახელმწიფო დაფინანსების შემთხვევაში ლარი.

2. მხარეთა უფლება მოვალეობანი:

- 2.1. უნივერსიტეტი ვალდებულია:
- 2.1.1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოს შესაბამისი აკადემიური პერსონალითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით;
- 2.1.2. სტუდენტი მოამზადოს და მისი ცოდნის დონე შეაფასოს საერთაშორისო და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი სტანდარტების საფუძველზე შემუშავებული სასწავლო კურიკულუმისა და სილაბუსების, აგრეთვე უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული წესების შესაბამისად.
- 2.1.3. საგანმანათლებლო პროგრამის სრული კურსის დასრულების შემთხვევაში მიანიჭოს კურსდამთავრებულს მიღებული განათლების შესაბამისი კვალიფიკაცია და გადასცეს განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი - დიპლომი და დიპლომის დანართი;
- 2.1.4. სტუდენტს, რომელიც ვერ დააგროვებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტების რაოდენობას აღნიშნული პროგრამის გეგმურ ვადაში და არ ისარგებლებს 2.4.3 პუნქტით განსაზღვრული უფლებით, შეუჩეროს სტუდენტის სტატუსი;
- 2.1.5. სტუდენტს, რომელიც ვერ დააგროვებს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ კრედიტების რაოდენობას 2.4.3 პუნქტში მითითებულ დამატებით ვადაში, შეუწყვიტოს სტუდენტის სტატუსი და მისცეს მას შესაბამისი ცნობა.

2.2. სტუდენტი ვალდებულია:

- 2.2.1. წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთ) საბანკო დღეში უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხოს 1.2 პუნქტით განსაზღვრული ერთი წლის სწავლის საფასურის _____ ლარის მინიმუმ ნახევარი, ხოლო _____%-იანი სახელმწიფო დაფინანსებისას - მინიმუმ _____ ლარის ოდენობით;
- 2.2.2. გარდა 2.2.1 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა, ყოველი სწავლების წლის I სემესტრის დაწყებამდე უნივერსიტეტის საბანკო ანგარიშზე ჩარიცხოს 1.2 პუნქტით განსაზღვრული ერთი წლის სწავლის საფასურის _____ ლარის მინიმუმ ნახევარი, ხოლო _____%-იანი სახელმწიფო დაფინანსებისას - მინიმუმ _____ ლარის ოდენობით; დარჩენილი სწავლის საფასურის გადახდა უზრუნველყოს მეორე სემესტრის დაწყებამდე;
- 2.2.3. ესწრებოდეს ლექციებს, სემინარებს, ლაბორატორიულ, პრაქტიკულ და სხვა სახის მეცადინეობებს, დადგენილ ვადებში ასრულებდეს კურიკულუმითა და სილაბუსით გათვალისწინებულ სამუშაოებს;
- 2.2.4. დაიცვას სასწავლო პროცესის მარეგულირებელი ნორმატიული და უნივერსიტეტის მიერ გამოცემული აქტები;
- 2.2.5. სტუდენტი, რომელიც არ შეასრულებს ამ ხელშეკრულების 2.2.2 პუნქტით განსაზღვრულ ვალდებულებას, სემესტრულ გამოცდებზე დაიშვება მხოლოდ გამოცდების დაწყებამდე, აღნიშნული პუნქტებით განსაზღვრული თანხისა და გადაუხდელი თანხის 10%-ის ოდენობით პირგასამტეხლოს გადახდის შემთხვევაში.

2.3. უნივერსიტეტს უფლება აქვს:

2.3.1. წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეუჩეროს სტატუსი სტუდენტს, რომელიც არ შესრულებს ამ ხელშეკრულების 2.2.1 პუნქტში, აგრეთვე 2.2.2 ან 2.2.5 პუნქტებში გათვალისწინებულ ვალდებულებებს.

2.4. სტუდენტს უფლება აქვს:

2.4.1. F-უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის თანახმად, რამდენჯერმე გაიაროს ერთი და იგივე სასწავლო კურსი, მომდევნო სასწავლო წლების განმავლობაში, საგანმანათლებლო პროგრამის გეგმური ვადის ამოწურვამდე;

2.4.2. სასწავლო კურსის (საგნის) ხელახლა გავლისათვის შესაბამისი განცხადებით მიმართოს დეკანს და გადაიხადოს სასწავლო კურსის/კურსების შესაბამისი ღირებულება, რომლის ოდენობა დგინდება სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესაბამისად;

2.4.3. თუ საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ გეგმურ ვადაში ვერ დააგროვებს კრედიტების დადგენილ რაოდენობას, სწავლა გააგრძელოს დამატებითი სემესტრების განმავლობაში, სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციის შესაბამისად;

– ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაზე – არაუმეტეს 4 სემესტრისა;

– პროფესიული უმაღლესი განათლების/მაგისტრატურის/დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე – არაუმეტეს 2 სემესტრისა.

3. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის წესი:

3.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის მთელი პერიოდის განმავლობაში, ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების გათვალისწინებით;

3.2. სტუდენტის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში იგი ვალდებულია, 1 (ერთი) თვით ადრე წერილობით აცნობოს ამის თაობაზე უნივერსიტეტის ადმინისტრაციას. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში, სტუდენტს არ დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სწავლის საფასური.

3.3. უნივერსიტეტის ინიციატივით ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი დაარღვევს წინამდებარე ხელშეკრულებას, მასთან გაფორმებულ სხვა ხელშეკრულებებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში), ეთიკის კოდექსს, უნივერსიტეტის წესდებასა და შინაგანაწესს.

3.4. სტატუსის შეჩერებისას/შეწყვეტისას სტუდენტს არ დაუბრუნდება მის მიერ გადახდილი სწავლის საფასური.

4. ხელშეკრულების დამატებითი პირობები:

4.1. სახელმწიფო დაფინანსების შეწყვეტის/ამოწურვის შემთხვევაში, სწავლების საფასურს სრულად ფარავს სტუდენტი არსებული წესის თანახმად;

4.2. სტატუსშეჩერებული სტუდენტისათვის სტატუსის აღდგენის შემთხვევაში წარმოქმნილი ყველა ფინანსური ვალდებულება იგივეა, რაც იმავე ფაკულტეტის, სწავლების საფეხურისა და წლის სტუდენტისათვის, რომელზეც ჩაირიცხა აღდგენისას;

4.3. სტუდენტი ხელშეკრულების გაფორმებამდე შესაბამის ფაკულტეტზე გაეცნობა სტუდენტის უფლება-მოვალეობას, სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციას და სხვ;

4.4. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა სახის უთანხმოება უნდა გადაწყდეს ურთიერთმოლაპარაკების გზით. შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავა გადაწყდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად;

4.5. ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად ქართულ ენაზე, თითოეული ხელმომწერი მხარისათვის გადასაცემად.

მხარეთა რეკვიზიტები:

უნივერსიტეტი

სტუდენტი

ს.ს.ი.პ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
რექტორი, პროფესორი არჩილ ფრანგიშვილი

(გვარი, სახელი, მამის სახელი)

ქ. თბილისი, მ.კოსტავას ქ.№77

(მისამართი)

საბანკო რეკვიზიტები:

“თი-ბი-სი“ ბანკი

პირადი № -----

ანგ. №3408001/GEL

პირადობის მოწმობის № -----

მფო. 220101830

გაცემულია -----
(მეორე)

საიდენტიფიკაციო №211349192

(თარიღი)

ტელ: -----

(სტუდენტის ხელმოწერა)

----- ა. ფრანგიშვილი
(ხელმოწერა)

(მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის ხელმოწერა)